

საქართველოს კანონი
გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით.

2. ეს კანონი აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების ამომწურავ ჩამონათვალს, საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ საქმიანობათა განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (შემდგომში – ნებართვა) გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (შემდგომში – გ.ზ.შ) და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2. კანონის მიზნები და ამოცანები

1. კანონის მიზნებია:

ა) დაიცვას საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობანი;

ბ) უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლება – მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობაზე და ასევე, გარემოსდაცვით სფეროში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა;

გ) გაითვალისწინოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

2. კანონის ამოცანებია:

ა) ჩამოაყალიბოს და დაიცვას საქმიანობის განმახორციელებელის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობები საქმიანობაზე ნებართვის გაცემის სფეროში.

ბ) ხელი შეუწყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან ასევე მათ რაციუნალურ გამოყენებას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“ – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით, განუსაზღვრელი ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც გაიცემა საქმიანობის განმახორციელებელზე და წარმოადგენს საქმიანობის დაწყების სამართლებრივ საფუძველს.

2. „საქმიანობის განმახორციელებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი (რომელიც არ არის იურიდიული პირი), რომელიც არის საქმიანობის განხორციელების ინიციატორი და მიმართავს შესაბამის ორგანოს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების უფლების მისაღებად.

3. „მშენებლობის ნებართვა“ – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ქ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებართვა;

4. „გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ)“ – გზშ ნიშნავს დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურას, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული კომპონენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლის, გამოაველენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებზე და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორების ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებზე (მემკვიდრეობაზე) და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე (ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის).

5. „გარემოს დაცვის ნორმები“ – „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოს დაცვის ნორმები;

თავი II

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურები

მუხლი 4. ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობები და საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობებია:
 - ა) სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება (გარდა სამშენებლო, მათ შორის ინერტული მასალებისა – კირის, გაჯისა და თაბაშირის გამოკვლებით);
 - ბ) ნებისმიერი საწარმოო ტექნოლოგია, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი;
 - გ) ცემენტის წარმოება, ასფალტის წარმოება, კირის წარმოება, გაჯის წარმოება, თაბაშირის წარმოება;
 - დ) მინისა და მინის პროდუქციის წარმოება;
 - ე) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება (მათ შორის ნარჩენების დაწვის ქარხნების მოწყობა) ან/და ნაგავსაყრელების მოწყობა;
 - ვ) ტოქსიკური და სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების მოწყობა და/ან ამ ნარჩენების გადამუშავება, გაუვნებელყოფა;
 - ზ) ქვანახშირის გაზიფიცირების, გათხევადების, ბრიკეტირებისა და დაკოქსვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიმძლავრის წარმოება;
 - თ) მაგისტრალური ნავთობსადენისა და გაზსადენის გაყვანა;
 - ი) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი და ბუნებრივი აირის საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთერთის მოცულობა 1000 კუბ.მზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა აღემატება 1000 კუბ. მ.-ს.
 - კ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის, რკინიგზის და მათზე განთავსებული ხიდის, გზაგამტარის გვირაბის, აგრეთვე საავტომობილო გზის, რკინიგზის და მათი ტერიტორიის საინჟინრო დაცვის ნაგებობის აგება;
 - ლ) მაღალი ძაბვის (35 კვ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და ქვესადგურის (110 კვ და მეტი) განთავსება;
 - მ) ჰიდროელექტროსადგურის (2 მგვტ და მეტი), თბოელექტროსადგურის (2 მგვტ და მეტი) განთავსება;
 - ნ) მეტროპოლიტენის მშენებლობა;
 - ო) 10 000 კუბ. მეტრისა და მეტი მოცულობის წყალსაცავის მოწყობა;
 - პ) რეგიონული და საქალაქო სათავე წყალმიმღები სადგურის განთავსება და მაგისტრალური წყალსადენის გაყვანა;
 - ჟ) სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების (წყალმიმღები ნაგებობები და მაგისტრალური არხები) მოწყობა;

რ) რეგიონული და საქალაქო გამწმენდი ნაგებობების, აგრეთვე, მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსება;

ს) აეროდრომის, აეროპორტის, რკინიგზის სადგურის, საზღვაო ნავსადგურის მოწყობა;

ტ) კაშხლის, ნავსადგურის, ნავმისადგომის, მოლის, ბუნის განთავსება;

უ) ქიმიური მრეწველობა, კერძოდ: ნახევარფაბრიკატების (შუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, მინერალური სასუქების, ქიმიური საღებავების, ლაქის, პეროქსიდებისა და ელასტიური ნივთიერებების (რეზინის ან პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის ელექტროდების დამზადება;

ფ) ნავთობნედლეულის და გაზგადამამუშავებელი წარმოებები, ნავთობქიმიური წარმოება;

ქ) ნებისმიერი მეტალურგიული წარმოება, 1 საათში 1 ტონაზე მეტი პროდუქციის წარმადობით, გარდა ლითონთა ცივად დამუშავებისა და საიუველირო წარმოებებისა;

ღ) ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერების საცავების მოწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოს ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა.

3. იმ შემთხვევაში თუ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით სამინისტროს ჩართვას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროში წარდგენილ დოკუმენტაციაზე სამინისტროს მიერ გაიცემა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მტკიცდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ადმინისტრაციული აქტით. ასეთ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება ასევე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 სტადიაზე. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის შემადგენელ ნაწილს და მშენებლობის ნებართვის მაძიებლისათვის (ან მფლობელისათვის) მისი (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) პირობების შესრულება სავალდებულოა. ასეთ შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის პირობას.

6. იმ შემთხვევაში თუ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მასზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ნებართვის გაცემის თაობაზე მინისტრი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს). ეკოლოგიურ ექსპერტიზას სამინისტრო ატარებს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

7. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობას.

მუხლი 5. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები

1. ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით სავალდებულოა ტექნიკური რეგლამენტების დაცვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტები მტკიცდება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“.

მუხლი 6. გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს გზშ-ის საჯარო განხილვა (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მოაწყოს გ.ზ.შ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურის დაწყებამდე).

2. გ.ზ.შ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ასევე იმ რაიონის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

3. ინფორმაცია (განცხადება) საქმიანობის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებას და ადგილმდებარეობას;
ბ) მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს (მათ შორის გზშ-ის ანგარიშს);

გ) საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას;

დ) საჯარო განხილვის მოწყობის დროს და ადგილს.

4. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასევე მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოშიც) წარადგინოს გ.ზ.შ-ის ანგარიშის როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული ვერსია.

ბ) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები;

გ) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუადრეს 50 დღისა და არაუგვიანეს 60 დღისა მოაწყოს საჯარო განხილვა მის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) უზრუნველყოს საჯარო განხილვაზე შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლების წერილობითი მიწვევა.

5. განხილვა ეწყობა საჯაროდ და მასზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

6. საჯარო განხილვა ეწყობა იმ რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 7. საჯარო განხილვის შედეგების გაფორმება

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს საჯარო განხილვისას

გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. ოქმს ხელს აწერენ საქმიანობის განმახორციელებელი (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები (საჯარო განხილვაზე მათი დასწრების შემთხვევაში).

2. საქმიანობის განმახორციელებელი ეცნობა საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებებსა და შენიშვნებს და ითვალისწინებს მათ არგუმენტებს გ.ზ.შ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში.

3. საქმიანობის განმახორციელებელი მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებლობის წერილობით დასაბუთება და მათი ავტორისათვის (ან ავტორებისთვის) დაგზავნა. ასეთი დასაბუთებები (საზოგადოების შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) ექვემდებარება საქმიანობის განმახორციელებელის მიერ ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში) საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გ.ზ.შ-ის ანგარიშთან ერთად წარდგენას (ამ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ გ.ზ.შ-ის ანგარიშის განუყოფელ ნაწილს).

4. საჯარო განხილვის მოწყობის, მისი შედეგების გაფორმებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს) წარუდგინოს განცხადება ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღებასთან დაკავშირებით ამ კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.“

მუხლი 8. ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები

1. საქმიანობის განმახორციელებელი ნებართვის მისაღებად სამინისტროს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ინფორმაციის გარდა განცხადებასთან ერთად წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გ.ზ.შ-ის ანგარიში (ხუთ ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით);

ბ) საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციურ გეგმა (მანძიკლების მითითებით);

გ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ/ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი - 4 ეგზემპლარად);

დ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (“არატექნიკური რეზიუმეს” სახით).

ე) განცხადება წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ.

3. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მიაწოდოს ტექნოლოგიური ციკლის სრული სქემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმიანობა შეიცავს კომერციულ ან/და სახელმწიფო საიდუმლოებას. განცხადების ეს ნაწილი ამ მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტის შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარადგინოს ცალკე.

4. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში მშენებლობის

ნებართვის მიღებით დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:

ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციურ გეგმა (მანძილების მითითებით) – აღნიშნული დოკუმენტაცია ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე წარდგენას;

ბ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (“არატექნიკური რეზიუმეს” სახით) – აღნიშნული დოკუმენტაცია ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე წარდგენას;

გ) კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გ.ზ.შ-ს ანგარიში – ხუთ ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით (აღნიშნული დოკუმენტაცია ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე წარდგენას);

დ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი - 4 ეგზემპლარად) – აღნიშნული დოკუმენტაცია ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე წარდგენას;

ე) განცხადება წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ (აღნიშნული დოკუმენტაცია ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე წარდგენას).“

მუხლი 9. ნებართვის გაცემის წესი

1. სამინისტრო ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქმიანობაზე განაცხადის რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში.

2. სამინისტრო „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს საქმიანობის განმახორციელებელის მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, რის საფუძველზეც დგება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

3. ნებართვა გაიცემა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 10. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

1. გ.ზ.შ. წარმოადგენს საქმიანობაზე დამასუბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრას, აგრეთვე მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას.

2. გ.ზ.შ-ს ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია საქმიანობის სუბიექტი.

3. გ.ზ.შ. შედეგს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

4. გ.ზ.შ. პროცედურასა და ანგარიშის შინაარსისადმი მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და დებულება "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ", რომელსაც კონსენქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

5. გ.ზ.შ-ს პროცედურის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს საქმიანობის განმახორციელებელი.

მუხლი 11. გ.ზ.შ-სგან საქმიანობის გათავისუფლება

1. საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გ.ზ.შ-სგან, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს და გადაწყვეტილება ამის შესახებ დროულად იქნეს მიღებული.

2. საქმიანობის განმახორციელებელის განცხადებას გ.ზ.შ-სგან გათავისუფლების თაობაზე განიხილავს და შესაბამის წინადადებებს შეიმუშავებს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მინისტრი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ შეიმუშავებულ წინადადებებს მინისტრი წარუდგენს მთავრობას, რომელიც იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 12. საქმიანობის განმახორციელებელის უფლება-მოვალეობანი

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიაწოდოს ობიექტური მონაცემები გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გამცემ ორგანოს (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს).

2. საქმიანობაზე ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საქმიანობა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად;

ბ) საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდეგ შეასრულოს გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელი ის ღონისძიებები, რომელთაც აუცილებლად მიიჩნევს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გამცემი ორგანო.

გ) პირი რომელიც ფლობს მშენებლობის ნებართვას როგორც მშენებლობის პროცესში ისე საწარმოს (ობიექტი) ექსპლუატაციისას ვალდებულია დაიცვას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით მისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობები.

მუხლი 13. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გაიცემა თუ:

ა) დარღვეულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნები;

ბ) არსებობს განსახორციელებელ საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა.

მუხლი 14. ნებართვის გაცემაზე უარის გასაჩივრება

ნებართვის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

მუხლი 15. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობები

ნებართვის გამცემი ორგანოს უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „ლიცენზიისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად

მუხლი 16. სანებართვო მოწმობის ფორმა

სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

მუხლი 17. სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

1. სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი სამინისტროს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

2. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში სამინისტრო გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს, შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამის თაობაზე აცნობებს

სახელმწიფო სანებართვო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს სახელმწიფო სანებართვო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შესატანად.

3. სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.

4. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 18. ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემა

1. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია ნებართვა გადასცეს სხვა პირს.

2. ნებართვის გადაცემის შემთხვევაში ნებართვის მფლობელი და ნებართვის მიმღები სამინისტროს მიმართავენ ერთობლივი განცხადებით, რომელშიც აღინიშნება გადასაცემი ნებართვის სახე, რეგისტრაციის ნომერი. განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ნებართვის მფლობელისა და ნებართვის მიმღების სამეწარმო რეესტრიდან ამონაწერები, კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

ბ) ნებართვის გასხვისების დამადასტურებელი ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტაცია.

3. განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში სამინისტროს შეაქვს ცვლილებები სანებართვო რეესტრში და გასცემს შესაბამის სანებართვო მოწმობას.

4. ნებართვის მიმღები ვალდებულია შეასრულოს ნებართვით გათვალისწინებული სანებართვო პირობები.

მუხლი 19. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე

კონტროლს სანებართვო პირობების შესრულებაზე ახორციელებს სამინისტრო, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 20. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმება

პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმების წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თაზო II

ბარდამაგალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება

1. ამ კანონის მიღებამდე ისეთი საქმიანობებისათვის გაცემული გარემოსდაცვითი ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვები, რომლებიც ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ექვემდებარებიან ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათზე ვრცელდება ამ კანონით დადგენილი ნორმები.

2. პირი, რომელსაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე მიღებული აქვს გარემოსდაცვითი ნებართვა ან სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, უფლებამოსილია განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემა. სამინისტრო ვალდებულია გასცეს აღნიშნული მოწმობა. ასეთ შემთხვევაში განცხადების შემომტანი თავისუფლდება სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან.

3. ამ კანონის მე-4 მუხლით პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა, რომლის განხორციელებაც დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას 2009 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიური აუდიტი), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეულ გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას.

მუხლი 22. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

2007 წლის პირველ ოქტომბრამდე ამოცემულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- ა) „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“;
- ბ) „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;
- გ) „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს რეგლამენტის შესახებ“;

მუხლი 23. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს;

ა) „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 15 ოქტომბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი 1996 წ. №27-28/4 გვ5)

ბ) საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

გ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2002 წლის 16 მაისის №59 ბრძანება (სსკ 2002წ., №50, მუხ.470) „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულებისა და მაგისტრალური მილსადენების პროექტების თანდართული ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 15 ივნისის №139 ბრძანება (ს.ს.კ. 2005 წ., №74, მუხ.791) „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 24. კანონის ამოქმედება

კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი